



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 19 ივნისი

**დისციპლინური საქმე №25/20-1
მოსამართლე --- --- მიმართ**

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

--- --- --- 2020 წლის 27 თებერვლის №25 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^ა მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^ბ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 09 მარტის №179/25-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

წინასწარი მოკვლევის დროს №25/20 დისციპლინური საქმეზე ასევე შესწავლილ იქნა --- --- --- 2020 წლის 26 მარტის №113-ი, 26 მარტის №114-ი, 30 მარტის №117-ი, 02 აპრილის №119-ი, 08 აპრილის №121-ი, 29 აპრილის №133-ი, 05 მაისის №134-ი, 05 მაისის №135-ი და 20 მაისის №43-ი წერილები, სადაც საჩივრის ავტორი ასევე უთითებდა მოსამართლის მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტებზე.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე იყო მიკერძოებული, რადგანაც მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობებს დადგენილ ვადებში იხილავდა, ხოლო მხარის განცხადებებსა თუ შუამდგომლობების განხილვას თვეებს ანდომებდა. მოსამართლემ 2020 წლის 28 თებერვლის შემდეგ წარდგენილი შუამდგომლობაზე არ იმსჯელა 1 თვე და 6 დღე. ამასთან, მოსამართლემ გააჭიანურა საქმის განხილვა. ნაცვლად 5 დღისა საქმე სააპელაციო სასამართლოში გადააგზავნა 25 დღის შემდეგ.

1.2. არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა შებრუნებული უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 7 ოქტომბერს --- --- სასამართლოს --- --- განცხადებით მიმართა შპს „--- ---“ --- --- და --- --- --- და მოითხოვა --- --- --- 2019 წლის 3 ივლისის 62/ს ბრძანებისა და --- --- --- 2019 წლის 4 ოქტომბრის №--- ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე --- --- --- ბრძანების საფუძველზე ჩატარებული აუქციონისა და მისი სამართლებრივი შედეგების ბათილად ცნობა. ამავე სარჩელში მოსარჩელემ

სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით იშუამდგომლა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, --- --- --- მიერ --- და ---

მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით ტყის სარგებლობის ვადის განსაზღვრისა და სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით გამოცხადებული აუქციონის შედეგებისა და აღნიშნული შედეგებიდან გამომდინარე ხელშეკრულების გაფორმების, ქმედების განხორციელებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შეჩერება.

--- --- სასამართლოს --- --- მოსამართლე --- --- 2019 წლის 08 ოქტომბრის განჩინებით შპს „--- ---“ სარჩელი მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში და დასაშვებად იქნა ცნობილი.

--- --- სასამართლოს --- --- მოსამართლე --- --- 2019 წლის 08 ოქტომბრის განჩინებით შპს „--- ---“ შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შეჩერდა „--- --- სპეციალური ლიცენზიის გაცემისათვის ელექტრონული აუქციონის ჩატარების“ შესახებ --- --- 2019 წლის 3 ივლისის 62/ს ბრძანების მოქმედება.

--- --- სასამართლოს --- --- მოსამართლე --- --- 2019 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, №--- ადმინისტრაციულ საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა შპს „---“.

2019 წლის 16 ოქტომბერს განცხადებით მომართა მოპასუხე --- --- განცხადებით მიმართა --- --- სასამართლოს --- --- და მოითხოვა --- --- სასამართლოს --- --- 2019 წლის 08 ოქტომბრის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების განმარტება, კერძოდ: მოსარჩელე შპს „--- ---“ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილება გულისხმობს თუ არა აუქციონში გამარჯვებულ კომპანია - შპს „---“ ლიცენზიის გაცემის პროცედურის შეჩერებას.

--- --- სასამართლოს --- --- მოსამართლე --- --- 2019 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით --- --- განცხადება, --- --- სასამართლოს --- --- 2019 წლის 08 ოქტომბრის №--- განჩინების განმარტების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

--- --- სასამართლოს --- --- 2019 წლის 08 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მესამე პირმა - შპს „---“.

--- --- სასამართლოს --- --- მოსამართლე --- --- 2019 წლის 08 ნოემბრის განჩინებით შპს „---“ სააგენტოს კერძო საჩივარი მიღებული იქნა განსახილველად; კერძო საჩივრის ავტორის შუამდგომლობა --- --- სასამართლოს --- --- 2019 წლის 08 ოქტომბრის განჩინების შეჩერებასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა.

--- --- სასამართლოს --- --- მოსამართლე --- --- 2020 წლის 17 თებერვლის განჩინებით შპს „---“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა --- --- სასამართლოს --- --- 2019 წლის 08 ოქტომბრის განჩინება შპს „---“ შუამდგომლობა, საქმის მასალებთან ერთად ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა --- --- სასამართლოს --- ---.

--- --- სასამართლოს --- --- მოსამართლე --- --- 2020 წლის 21 თებერვლის განჩინებით შპს „--- ---“ შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა; შეჩერდა --- --- მიერ --- და --- მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით ტყის სარგებლობის ვადის განსაზღვრისა და სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით გამოცხადებული აუქციონის შედეგები (აუქციონის №---) და აღნიშნული შედეგებიდან გამომდინარე, -

-- --- აეკრძალა ხელშეკრულების გაფორმება, ქმედების განხორციელებისა და ადმინისტრაციულ-2

სამართლებრივი აქტის გამოცემა, მოცემულ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

2020 წლის 25 თებერვალს --- სასამართლოს --- საჩივრით მიმართა მესამე პირის შპს „---“ დირექტორმა --- და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ --- - სასამართლოს --- 2020 წლის 21 თებერვლის №--- განჩინების გაუქმება. --- სასამართლოს --- 2020 წლის 26 თებერვლის განჩინებით საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

--- სასამართლოს --- მოსამართლე --- 2020 წლის 26 თებერვლის განჩინებით შპს „---“ საჩივარი --- სასამართლოს --- 2020 წლის 21 თებერვლის №--- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების გაუქმების თაობაზე, მიღებულ იქნა წარმოებაში.

2020 წლის 28 თებერვალს --- სასამართლოს --- შუამდგომლობით მიმართა მესამე პირის შპს „---“ წარმომადგენელმა --- და მოითხოვა №--- საქმეზე შებრუნებული უზრუნველყოფის გამოყენება.

--- სასამართლოს --- მოსამართლე --- 2020 წლის 02 მარტის განჩინებით შპს „---“ განცხადება, სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

--- სასამართლოს --- მოსამართლე --- 2020 წლის 02 მარტის განჩინებით შპს „---“ საჩივარი --- - სასამართლოს --- 2020 წლის 21 თებერვლის №--- განჩინების გაუქმების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გადაეგზავნა --- სასამართლოს ---.

--- სასამართლოს --- მოსამართლე --- 2020 წლის 27 აპრილის განჩინებით შპს „---“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა --- სასამართლოს --- 2020 წლის 21 თებერვლის განჩინება.

--- სასამართლოს --- მოსამართლე --- 2020 წლის 27 აპრილის განჩინებით შპს „---“ საჩივარი --- სასამართლოს --- 2020 წლის 2 მარტის განჩინების გაუქმების თაობაზე დარჩა განუხილველი.

2020 წლის 28 აპრილს --- სასამართლოს --- განცხადებით მიმართა მესამე პირის - შპს „---“ დირექტორმა --- და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სხვა სახის ღონისძიებით შეცვლა, კერძოდ: ნაცვლად --- 2019 წლის 07 ივლისის №62/ს ბრძანების მოქმედების შეჩერებისა და მოპასუხისთვის №--- აუქციონის შედეგებიდან გამომდინარე აუქციონში გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადება, ქმედების განხორციელება ან/და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის აკრძალვისა გამოყენებულ იქნეს სხვა უზრუნველყოფის ღონისძიება. კერძოდ, მოითხოვა შპს „---“ სალიცენზიოს მოწმობის მიღების შემდგომ, ქმედების განხორციელების აკრძალვა სალიცენზიო არეალის იმ ფართობზე, სადაც მდებარეობს მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული სარეგისტრაციო მიწის ნაკვეთები, კერძოდ, მოსარჩელის უძრავი ნივთები, რომელზედაც მიმდინარეობდა ან/და მიმდინარეობს №---, №---, №---, №---, №---, №---, №--- სარეგისტრაციო წარმოებები. შუამდგომლობის ავტორი მიუთითებს, რომ 8 სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში ჯამში მოთხოვნილია 13,846 კვ.მ. მიწის ფართზე უფლების რეგისტრაცია, აქედან დადებითი შედეგით დასრულებულია 5 სარეგისტრაციო წარმოება და დარეგისტრირებულია 10,341 კვ.მ. ფართობი, ხოლო დარჩენილი 3 სარეგისტრაციო წარმოება, რომლითაც მოთხოვნილია საერთო ფართობით 3,505 კვ.მ. მიწის ფართობზე უფლების რეგისტრაცია არ დასრულდა დადებითი შედეგით, არა სალიცენზიო არეალთან ზედდების გამო არამედ სხვა მიზეზებით.

--- სასამართლოს --- მოსამართლე --- 2020 წლის 05 მაისის განჩინებით მესამე პირის შპს „---“ შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

--- სასამართლოს --- მოსამართლე --- 2020 წლის 15 მაისის განჩინებით შპს „---“ საჩივარი, --- - სასამართლოს --- 2020 წლის 05 მაისის განჩინების გაუქმების შესახებ, მიღებულ იქნეს წარმოებაში.

--- სასამართლოს --- მოსამართლე --- 2020 წლის 22 მაისის განჩინებით შპს „---“ საჩივარი, ---
- სასამართლოს --- 2020 წლის 05 მაისის განჩინების გაუქმების შესახებ, არ დაკმაყოფილდა და
განსახილველად გადაეგზავნა --- სასამართლოს ---.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს ადგილი საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს

მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

ამდენად, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მოსამართლეს, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ --- --- სასამართლოს --- --- მოსამართლე --- --- 2020 წლის 02 მარტის განჩინებით შპს „---“ განცხადება, სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

მნიშვნელოვანია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია იმ პირობებში, როცა მხარე განცხადებაში კონკრეტულად და რეალურად მიუთითებს იმ საფრთხეზე, რომლის აცილებაც შეუძლებელია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, შპს „---“ ითხოვდა სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფას, რაზეც მოსამართლემ იმსჯელა და განჩინება მიიღო მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, შინაგანი რწმენის საფუძველზე. შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

1. შეწყდეს შპს „---“ დირექტორის --- --- №25 საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე --- --- მიმართ, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში.

2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №25/20 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე --- -- მიმართ, დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი